სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების ნუგაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
20
აგვისტო
№99 (10492)
ფასი 5 კაპ

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 19[illegible] წლის 1 მარტიდან

### საწარმოო სიძნელეთა პრიზმაში

**საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ალტერნატივო იდეას არაერთი უჩვეულო, არცთუ იოლად გასაცნობიერებელი სტრუქტურული სიახლეები მოაქვს ჩვენს ყოფაში. ნებისმიერი საწარმო გულდაგულ ეძიებს ქმედით ბერკეტებს, რომელთა მომარჯვებით შესაძლებელი ხდება წარმოებიდან გაუცხოებული მუშაკის მატერიალურად დაინტერესება, ხოციალური თვითშეგნების ისე ამაღლება, რომ ქარხნის ნამდვილ ბატონ-პატრონად იგრძნოს თავი.**

**რა პრობლემები ელობება ძველისა და ახლის ამ გზასაყარზე ზუგდიდის სატვირთო ავტოსაწარმოს? ამის შესახებ ვესაუბრეთ საწარმოს დირექტორს გ. ემუხვარს:**

## საწარმოს ბედს მაინც ადამიანი წყვეტს

—როგორ უბამთ მხარს ეკონომიკის ლიბერალიზაციის კურსს?

—შეიძლება ითქვას, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ დაწყებულ ტექნიკური გადაიარაღებისა და ეკონომიკური სტიმულირების სრულყოფის პროცესს ერთი წუთითაც არ ვანელებთ. გარკვეული ძვრები გვაქვს მართვის ადგილობრივი მოდელის ჩამოყალიბების სფეროშიც, რისკენაც გვიბიძგა სამეურნეო ანგარიშის დანერგვის დროით მოტანილმა აუცილებლობამ.

ჩვენი მუშაობა ფაქტიურად წააგავს იმ ნარ-ეკლიან გზაზე მძიმედ სვლას, სადაც უამრავი ხერგილებია. სამეურნეო კავშირები მნიშვნელოვანწილად ირღვევა. ხშირ შემთხვევაში ქაღალდზე რჩება სახელშეკრულებო ვალდებულებანი. ძნელად ვახერხებთ ტრანსპორტის საექსპლოატაციო სიმძლავრის გადიდებას, რესურსებით მომარაგებაში არსებული წყვეტილობის თავიდან აცილებას. ბუნებრივია, აღნიშნული და სხვა ხელშემშლელი ფაქტორები საგრძნობლად დაბლა სცემს ტვირთზიდვის ტემპებს. მაგრამ ჩვენი მძღოლები მაგარი ნერვების პატრონები გამოდგნენ. შექმნილ სიტუაციას გაათკეცებული ენერგიით შრომა დაუპირისპირეს. მიმდინარე წლის ექვსი თვის შემოსავლების გეგმა შესრულებულ იქნა 105 პროცენტით. ნაცვლად მილიონ 15 ათასი ტონისა, გადაზიდულ იქნა მილიონ 105 ათასი ტონა ტვირთი, რაც გეგმიური მოცულობის 107,1 პროცენტს შეადგენს. მიღებულია 139700 მანეთის მოგება, რაც გეგმიურ მაჩვენებელს 44100 მანეთით აჭარბებს.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მძღოლებმა: ზური ნაჭყებიამ, კანდიკო ლაშხიამ, მურმან ფაჟავამ, არატო ქაქუთიამ, ნოდარ ჭაჭუამ, რეზო მაქაცარიამ, გურამ გაბისონიამ, გურამ ბერაიამ, გივი ტიბუამ, რამაზ სიჭინავამ, ვაჟა თირქიამ, ჯემალ ჯლარკავამ, ალექსანდრე გეთიამ, შოთა ჭკადუამ და სხვებმა.

**—როგორ ხდება თქვენი კოლექტივი პრივატიზაციის პროცესს, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკაში უკვე კანონიერი უფლება ენიჭება?**

—კარგად გვესმის, რომ სახელმწიფო საკუთრების ნამდვილ მეპატრონეზე გადაცემის პრინციპი უდიდეს მასტიმულირებელ როლს შეასრულებს რეგიონის სამეურნეო კომპლექსისათვის. მაგრამ ვფიქრობ, ტრანსპორტის დარგში ძალზე სპეციფიკური მომენტების გათვალისწინება იქნება საჭირო. ალბათ სახელმწიფო შეკვეთის იგნორირებაც გამორიცხულია. ტრანსპორტის დარგში ჩვენ ამ უკანასკნელის მყარ მხარდაჭერას და დახმარებას მოველით.

**—არ არის სადაო, რომ დღევანდელ ვითარებაში ის საწარმო მოახერხებს სიძნელეების ჩიხიდან წარმატებით თავის დაღწევას, რომელიც გაბედულად მიიკვლევს გზას თვითმმართველობისაკენ. როგორ ახერხებთ ამ პრინციპის დანერგვას?**

—თავიდანვე, როგორც კი მართვის სტრუქტურაში თვისებრივ სიახლეებზე ვილებდით გეზს, ამოსავალ პრინციპად დავისახეთ ეკონომიკური დაინტერესების ახალი ნორმატივების შემუშავება. ამან თავისი რეალური გამოვლინება ჰპოვა ძირეულ ქვედანაყოფებში ორმხრივი ხელშეკრულების დადების დონეზე. ეს იყო ფაქტიურად ის მოსამზადებელი პოზიცია, რამაც ღრმა ეკონომიკური ანალიზების გაკეთების საშუალება მოგვცა. ხვალინდელი დღე—ეს არის სრული საწარმოო დამოუკიდებლობა. ამ გზაზე უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები: თუ მძღოლი თვეში გამოიმუშავებს მისთვის განსაზღვრული დატვირთვის ნორმას, დამატებით ღებულობს გამომუშავებული თანხის 40 პროცენტს. ამან ძირეული რგოლების მუშაობის ეფექტი საგრძნობლად აამაღლა.

**—როგორ გესახებათ საწარმოს ხვალინდელი დღე?**

—ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად გაითავისებს კოლექტივის თითოეული წევრი ამჟამინდელი საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ტრანსპორტელები ჭეშმარიტ მამულიშვილურ გაგებას და ძალისხმევას იჩენენ რეგიონის წინაშე მდგარი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება მაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას: ჩვენი ხსნა ეკონომიკის რადიკალიზაციის პროცესის გაღრმავებაშია. რაც შეიძლება მალე უნდა მოვიშოროთ ვერტიკალური დაქვემდებარების ბიუროკრატიული ხუნდები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გაბედულად გზას გაუხსნის მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ჰორიზონტალური, ურთიერთხელსაყრელი კავშირების დამყარებას. ოღონდ ეს თავისით არ მოხდება, ამ გზას ძიება და მიგნება უნდა, გეყოფა მეურნული ალღო? გაიტან, გაიმარჯვებ.

ჩვენც ვცდილობთ, ამ ალღომ არ გვიღალატოს.

**ესაუბრა ზ. ცხონდია.**

სოფლის საკრებულოში

## იგრძნობა გარდატეხა

რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია რუხი. დიდია მისი საკრებულოც. იგი 24 წევრს აერთიანებს. ყველას თავისი საზრუნავი აქვს.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ცალკეული შრომითი ქვედანაყოფების საქმიანობაში იგრძნობა გარდატეხა.

მექანიზირებულმა რგოლმა და ხელით მკრეფავთა ბრიგადებმა, რომელთაც ა. ბახტაძე, ს. ჯანაშია, გ. ფარცვანია, ა. ციკალეიშვილი, ვ. ჭკადუა ხელმძღვანელობენ ვადამდე გაანაღდეს ნახევარი წლის დავალება. მოწინავეთა შორის არიან მკრეფავები შ. ფარცვანია, ი. გაგუა, ზ. ქათალანძე, ლ. შენგელია და სხვები, მაგრამ ეს ყველაზე როდი ითქმის. ჩამორჩენაა მთელ რიგ უბნებზე, რომლის დასაძლევად მეტის გაკეთება საჭირო. — დღეისათვის წლიური პროგნოზით გათვალისწინებული 4110 ტონიდან დამზადებულია 2256 ტონა ნედლეული, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 350 ტონითაა ნაკლები. მდიდარი ტრადიციების მქონე რუხელ მეჩაიეებს ასეთი ჩამორჩენისათვის არც საფუძველი აქვთ და არც რაიმე გასამართლებელი ობიექტური მიზეზები. ამიტომაც გახდა რუხის კოლმეურნეობა პრეფექტურის კრიტიკის ობიექტი გვითხრა სოფლის საკრებულოს გამგებელმა ა. თოდუამ.

კოლმეურნეობამ გვიან დაიწყო კრეფის სეზონი. პირველ დღეებიდანვე მესამე ბრიგადაში ხუთის ნაცვლად მუშაობდა ორი მანქანა „საქართველო", ირღვეოდა კრეფის წესებიც: შედეგები კი სავალალოა. ბრიგადამ სანახევროდაც ვერ შეასრულა ნახევარი წლის დავალება.

არის სხვა დაბრკოლებებიც. კოლმეურნეობის პლანტაციებში დამზადებული ნედლეულის ჩაბარება-გადამუშავებას ვერ ასწრებს მეორე ფაბრიკა. ასევე გადატვირთულია რუხის მიკროფაბრიკაც, რის გამოც ნედლეული ჩასაბარებლად კახათის მიკროფაბრიკაში, ხან კი დარჩელისა და ახალსოფლის ფაბრიკებში მიაქვთ. ცხადია სხვადასხვა სოფლებში ნედლეულის დიდი ხნით ტარების, გვიან ჩაბარების შედეგად უარესდება მისი ხარისხი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მეორე ფაბრიკას არ ყოფნის მუშები. ამის გამო ხშირად ფაბრიკაში რუხელ კოლმეურნეთა ჯგუფია დასაქმებული, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს. სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ მექანიზატორებიც ჩაის საკრეფი მანქანების ნაწილების უქმარისობის გამო.

როგორც ყველგან, რუხშიც მომრავლდა კოოპერატივები. არავინაა წინააღმდეგი გაიზარდოს მათი რიცხვი, მაგრამ ბევრი არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ორმოცდაათიდან თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს ნახევარიც.

სოფელში ბევრი საწარმო ფუნქციონირებს. აქვე ქმნის დოვლათს, მაგრამ მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს რუხელთათვის, პირიქით იგი მეტნაკლებად აფუჭებს მიკროკლიმატს, აბინძურებს გარემოს, ზიანს აყენებს მის ეკოლოგიას. ამასთან დაკავშირებით რუხის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს საკრებულომ მიმართა თხოვნით იზრუნონ სოფლის მშრომელთა სოციალურ-კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის და ამ მიზნით გადარიცხონ თანხა, რომელიც შეიძლება გამოიღო. კოოპერატორმა ზ. ჭკადუამ რუხელთა კეთილდღეობის მიზნით 20 ათასი მანეთი გადარიცხა. ასევე რუხელებს თავიანთი დანაზოგი გადაურიცხეს სხვადასხვა საწარმოებმა.

საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილებით წელს 31 ოჯახს გაუნაწილდა 164 ათასი მანეთი ინდივიდუალური მშენებლობისათვის. პირველ რიგში დააკმაყოფილეს მრავალშვილიანების ა. ჯაჯვანის, ლ. კაჭარავასა და მ. ლურწკაიას თხოვნა. თითოეულმა მათგანმა სახლის მშენებლობისათვის 10 ათასი მანეთი მიიღო. ასევე გათვალისწინებულია ინვალიდებისადმი დახმარება.

საკრებულოს წევრები ცდილობენ მოურიდებლად ამხილონ ნაკლოვანებანი, დასახონ მიზანმიმართული ღონისძიებები ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფაში ჩამორჩენის დასაძლევად, ვაჭრობისა და მიწათსარგებლობის წესების დასაცავად თუ ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის.

**ბ. აბსანძე.**

## სოციალური პრობლემა: გადაწყვეტის გზების ძიებით

ამ გაჭახირებულ ყოფაში, როცა პოლიტიკური ვნებებისა და სოციალური ტენდენციების მძაფრი დაპირისპირება ახე აძნელებს ვითარების სტაბილიზაციას, ბაზარი კვლავ რჩება საზოგადოებრივი განწყობილების ლერძად, მის მტკივან ნერვად. მაღაზიის ცარიელი დახლები მთელი სიმწვავით მიგვანიშნებს იმის საჭიროებაზე, რომ ენერგიულად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დავამკვიდროთნაირსახოვანი ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც ხაკვები პროდუქტების წარმოების პროცესს თავისუფალ სასუნთქ არხებს გაუხსნის.

როგორ ბაზარს ვესწრაფვით? ამ რიტორიკულ კითხვას მკუადამჭდარი კაცი ახე უპასუხებდა: ისეთს, რომელიც ხასოფლო პროდუქტის მწარმოებელსა და მყიდველს შორის გაჭიმულ კონვეიერს მიანიჭებს ცივილიზებულ ფორმას, დაარეგულირებს ფასებს და ა. შ. სხვანაირი ბაზარი, ბარბაროსულაზიური, ვიწროეგოისტური, მუჭლუგუნების კვრით წაქეზებული ღმერთმა გვაშოროს. მაგრამ ეს ხვალინდელი დღის კონტურებია.

როგორი ბაზარი გვაქვს დღეს და რა გზებითა და საშუალებებით ვახერხებთ მის შედარებით ნორმალურ დონეზე ფუნქციონირებას? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად ვეწვიეთ საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორს ბატონ ბორის ბულიას.

# ბაზარი ჩვენი მღელვარებისა

**—რა იყო ის პირველი მოულოდნელობა, რამაც დაგალონათ და ბაზარზე ჩვეულებრივი წარმოდგენაც დაგირღვიათ?**

—შეგრძნება იმისა, შევძლებ კი ამ ურთულესი ორგანიზმის სპეციფიკის უმოკლეს დროში ათვისებას? ამ ეკონომიკური ბლოკადის პირობებში ხომ ბაზარი რჩება არსებობის ძირითად წყაროდ და დიახაც გაბედულება საჭირო მართო ძალთი უბანი.

მოგეხსენებათ, ბაზრის კონიუნქტურა ის შეუვალი კატეგორიაა, რომელიც თავისთავად არეგულირებს პროდუქტებზე ფასებს. ამ თვალსაზრისით რაიმე იძულებითი მეთოდებით ზემოქმედება გამორიცხულია. ფასების ცვალებადობის შკალას მყიდველთა სასარგებლოდ, ბუნებრივია, ისევ და ისევ საქონლის სიუხვე განაპირობებს. მაგრამ ბაზრის ადმინისტრაციას მაინც გააჩნია ერთგვარი შინაგანი მექანიზმები, რომელთა ოპერირებით სასიკეთოდ შეიძლება სიტუაცია შემოაბრუნო.

**—რას გვეტყოდით იმ ერთგვარ რეფორმისტულ ძიებებზე, რასაც ბაზრების სტრუქტურაში შემოაქვს მართვის ახლებური ფორმები და აძლევს მათ მიზანმიმართულ ფუნქციონალურ დატვირთვას?**

—პირველ რიგში გეზი ავიღეთ რესპუბლიკის ფარგლებს გარედან პროდუქციის შედარებით ნაკლებ ფასებში, კოოპერატივებზე და კერძო პირებზე დაყრდნობით პროდუქტის შემოტანაზე. მოხერხდა ხორცის, ყველის, ზეთის, კარტოფილის შემოზიდვა შეღავათიან ფასებში.

უფრო ეფექტურად ავამოქმედეთ ბაზართან არსებული სავაჭრო-შემსყიდველი საწარმო, რომელიც ადგილებზე აწარმოებს საქონლის შეძენას და რეალიზაციას. ჩვენ უფრო შორს გვინდა წავიდეთ და გლეხი გავანთავისუფლოთ იმ ზედმეტი შრომისა და ხარჯისაგან, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ უშუალოდ პროდუქციის ბაზარში რეალიზაციასთან. ამაში ჩვენ საძნობრივ თანადგომას მოველით სოფლის საკრებულოებისაგან.

**—ორიოდე სიტყვით გვითხარით იმ სადღეისო პრობლემებზე, რომელთა ნაწილი წარსულის მძიმე მემკვიდრეობით გერგოთ და ნაწილი ამჟამინდელმა ვითარებამ კიდევ უფრო გაამკვეთრა?**

—უპირველეს საბრძოლო ამოცანად ვისახავთ ბაზრის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის მაქსიმალურად გაუმჯობესებას. დასამალი არაა, რომ ამ მხრივ ადგილი აქვს იმ ძველი სისტემით მუშაობას, რასაც საქმისადმი გულგრილობა ასაზრდოებს.

ვერა და ვერ მივაღწიეთ იმას, რომ სპეციალური სამსახური საგანგებო ყურადღებას უთმობდეს ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების რეგულარულად გატანას. არსებული სიძნელეების ფონზე ყოველნაირად ვცდილობთ გამოვნახოთ პრობლემის დარეგულირების ოპტიმალური ბერკეტები.

ხალხი უკიდურესად გაღიზიანებულია ბაზრის ტერიტორიაზე ავტომანქანების სიმრავლით. იბადება კითხვა: როგორ გადავჭრათ ეს ურთულესი პრობლემა? საჭიროა დაუყოვნებლივ მოეწყოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ დროს ძველი ფუნქციონერების მიერ უკანონოდ ხელში ჩადგებული ავტომანქანების ფასიანი სადგომი. მალე გადავწყვეტთ ბაზრის ტერიტორიიდან პატენტით მოვაჭრე მოქალაქეების გადაყვანას ფაიფურის დასახლების ბაზარში. გადაუდებელია არა სასოფლო პროდუქტებით მოვაჭრე ობიექტებისგან ტერიტორიის მაქსიმალურად განტვირთვა. ჩვენ რეალურად ვხედავთ, თუ რა წინააღმდეგობებს საც შეგვიქმნის ამ ღონისძიებების გატარება, მაგრამ არაფრის წინაშე უკან არ დავიხევთ.

ამასთან მკითხველებს მინდა ძუნწად მოვახსენო იმ გარკვეულ ღონისძიებებზე, რომელიც გატარდა ამ უახლოეს პერიოდში: გაიმართა საკანალიზაციო სისტემა, მოეწყო რადიოფიცირება, ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოასფალტებულ იქნა. კეთილმოეწყო თევზის სარეალიზაციო უბანი, შეკეთდა აბსოლუტურად მოშლილი სამაცივრო მეურნეობა. დღითიდღე ვამკაცრებთ კონტროლს უკანონოდ მოვაჭრე პირების მიმართ. გატარებული მკაცრი სანქციების შედეგად ჩამორთმეული მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქცია საჩუქრად გადაეცა სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს, რომლებიც ქვაბდუაშში ცხოვრობენ. ნაწილი აღნიშნული საქონლისა ადგილზე გაიყიდა თავის ფასში და ფული ასევე გადაირიცხა სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

ერთი წუთითაც არ ვადუნებთ ყურადღებას პროდუქტებში ნიტრატების ნორმების დაცვაზე. ჩვენ ვთხოვთ და მოვითხოვთ შესაბამისი ორგანიზაციებისაგან გაგვიწიონ მაქსიმალური დახმარება ამ სფეროში საჭირო წესრიგის დამყარებისათვის.

**უკანასკნელ დროს რესპუბლიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა. გარკვეული ცვლილებები განიცადა „ცოდნის" რესპუბლიკურმა საზოგადოებამ. ამ ცვლილებებზე გვესაუბრება საზოგადოება „ცოდნის" რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი ბატონი მიხეილ ქობალია.**

# საზოგადოება „ცოდნა" დამოუკიდებელია

**—ბატონო მიხეილ, რა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა უკანასკნელ დროს საზოგადოება „ცოდნის" საქმიანობაში?**

—რაც მთავარია იგი გამოეყო „ცოდნის" საკავშირო საზოგადოებას და წარმოადგენს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელიც ატარებს დიდი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის სახელს, იგი მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით და მის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მთავრობა.

**—როგორი პრინციპით წარიმართება მომავალში საღექციო პროპაგანდისტული მუშაობა?**

—საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნა" აწარმოებს მხოლოდ ეროვნული სულისკვეთების გამომხატველ ლექციურ საქმიანობას, იურიდიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამედიცინო, თეოლოგიური და სხვა უმნიშვნელოვანესი პრობლემების ახსნა-განმარტებასა და პროპაგანდას, რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებების გაშუქებას და სწორ პროპაგანდას, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ახლებურად გაშლას.

**—რა ცვლილებებია მოსალოდნელი წაკითხულ ლექციათა ჰონორარის ანაზღაურების საქმეში?**

—ამ მიმართულებით უკვე მოხდა სერიოზული ცვლილებები. საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის 1991 წლის 18 ივნისის პრეზიდიუმის დადგენილებით ლექციური მუშაობის მწარმოებელ ყველა ორგანიზაციაში საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების შეკვეთით წაკითხულ ლექციებზე დადგინდა ლექტორთა ჰონორარის ერთიანი განაკვეთები, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისათვის, რომლებიც მოწვევით ადგილებზე წაიკითხავენ ლექციებს, ჰონორარის ღირებულება იქნება 65 მანეთი, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებისათვის 55 მანეთი, თუ პერიფერიებში აღმოჩნდა ასეთი კონტინგენტი, წაკითხულ ლექციაზე აუნაზღაურდებათ 50-40 მანეთი.

**—ბატონო მიხეილ! უფრო კონკრეტული რომ იყოს ჩვენი საუბარი ლექტორი უშუალოდ— ერთ წაკითხულ ლექციაზე რამდენ მანეთს მიიღებს?**

—გიპასუხებთ:—მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები 50 მანეთს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები 40 მანეთს, მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები 30 მანეთს, მეცნიერებათა კანდიდატები და დოცენტები, საპატიო წოდებისა და დამსახურების მქონე პირები 20 მანეთს, ადგილობრივი ლექტორები 10 მანეთს.

ესაუბრა—ცირა თორია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.

## საინტერესო ლექცია

ამ დღეებში ქალაქისა და რაიონის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საზოგადოებრივ მეურნეობებში— სახელდობრ საწარმო გაერთიანება „საქქალალდმრეწვში", ფაიფურის ქარხანაში, საგამომძიებლო იზოლიატორში, ონარიის ჩაის ფაბრიკასა და მეურნეობაში საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკაში, საკოლმეურნეო მშენებლობის მუშა-მოსამსახურეებთან ლექციები წაიკითხა ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის" რესპუბლიკური ორგანიზაციის ლექტორმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტმა ბატონმა გივი კაპანაძემ თემაზე „საგარეო და საშინაო პოლიტიკის აქტუალური საკითხები". მსმენელებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს ლექტორს და დაუსვეს მრავალი შეკითხვა, რომლებზეც მან დამაჯერებელი პასუხები გასცა.

~ წიგნის თარო

### ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა"

ამ დღეებში საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გრიფით კოოპერატიულმა გამომცემლობამ „აიეტმა" ოცაათას. იანი ტირაჟით დასტამბა და მკითხველს მიაწოდა არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა".

ნაშრომი იტალიურიდან თარგმნა და 1901 წელს გამოაქვეყნა ცნობილმა მოღვაწემ ალექსანდრე ჭყონიამ. მეორე გამოცემა გამოვიდა 1938 წელს ლევან ასათიანის რედაქციით. ახლანდელი გამოცემა რიგით მესამეა. წიგნი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო პროფესორმა ილია ანთელავამ, რედაქტორი—ნუგზარ ანთელავა.

ვინ იყო არქანჯელო ლამბერტი და რას შეეხება მისი ნაშრომი?

ნეაპოლელი დონ არქანჯელო ლამბერტი იტალიელი მისიონერი იყო, რომელიც რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის წმინდა კონგრეგაციამ, სხვა მისიონერებთან ერთად საქართველოში მოავლინა.

1626 წელს მისიონერები საქართველოში გამოემგზავრნენ და თან წაიღეს რომის პაპის ურბანო მერვის წერილები საქართველოს პოლიტიკური მესვეურებისადმი. ისინი თავდაპირველად გორში დაბინავდნენ. მაგრამ ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ მათი ერთი ნაწილი ოდიშის სამთავროში გადავიდა ლევან მე-2 დადიანთან (1611-1657 წ.წ).

1623 წლის 23 ოქტომბერს მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე გორიდან ოდიშის გზას დაადგნენ. ლევან მე-2 დადიანმა თეატინელი ბერები მერკულაში მიიღო, სადაც მათ მთავარს საჩუქრები და რომის პაპის ურბანო მერვის წერილები გადასცეს. მთავარმა მისიონერები კარგად მიიღო და შეპირდა, რომ პატივით ამყოფებდა თავის სამფლობელოში. მალე მან მისიონერებს ეკლესია და მამულები უბოძა.

ასე დაიწყო არქანჯელო ლამბერტის ხანგრძლივი მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში.

კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის გარდა მისიონერებს დავალებული ჰქონდათ ყურადღება მიექციათ და ჩაეწერათ ყველაფერი, რაც შეეხება ქართველი ხალხის რელიგიას, ეთნოგრაფიას, კულტურას, პოლიტიკურ ცხოვრებას და ასევე ყველა სხვა საკითხზე დეტალური ანგარიშები უნდა გაეგზავნათ რომში.

არქანჯელო ლამბერტიც სწორედ ასე მოქცეულა, შეუკრებია და ჩამოუყალიბებია თავისი ცნობები, რომლებიც მან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ წიგნად გამოაქვეყნა.

არქანჯელო ლამბერტის ნაშრომში ამომწურავადაა აღწერილი მე-17 საუკუნის ოდიშის სამთავრო, მისი ბუნება, მოსახლეობა, წეს-ჩვეულებანი, საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მხარე, რასაც თანამედროვე მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვამბობთ, მაგრამ რატომ?"

# შემეცნებითი პარალელები

ჩვენ, ადამიანები, ყოველდღიურ ურთიერთობაში არც თუ იშვიათად მივმართავთ ფიგურალურ თქმებს, ჩავრთავთ მას წერისა თუ საუბრის დროს. ფიგურალურ თქმებს ახასიათებს დიდი ლაკონიურობა. ისინი მოკლედ გადმოგვცემენ აზრს, მცნებას, მსჯელობას, გვიხატავენ საზოგადოებრივი ურთიერთობის მრავალფეროვნებას. ფიგურალური თქმების მარაგს ამდიდრებდა და ამდიდრებს სხვადასხვა დროის და ქვეყნების კულტურა.

დიახ, ვიყენებთ საიდანღაც ამოკითხულ თუ მოსმენილ ფიგურალურ თქმას, მეხსიერების სიღრმეში შემონახულს, მაგრამ ხშირად არ ვიცნობთ მათი წარმოშობის ისტორიას, ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს გამოთქმათა ავტორის ვინაობაზე და ა. შ.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ზოგიერთ ფიგურალურ გამოთქმას გარკვეული „დოზით" დავუძებნოთ პარალელი დღევანდელი ცხოვრების მძაფრ მდინარებაში, მივუსადაგოთ მას თანამედროვე მოვლენები და ფაქტები.

ვითვალისწინებთ რა ფიგურალური თქმების დიდ შემეცნებით ღირებულებას, გადავწყვიტეთ, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დღეიდან დავამკვიდროთ ახალი რუბრიკა: „ვამბობთ, მაგრამ რატომ?".

## ავგიას თავლა

უსუფთაობის სინონიმია, ხმარობენ დანაგვიანებული ადგილების და აგრეთვე მეტისმეტად არეულ-აწეწილი საქმეების აღსანიშნავად.

ძველი ბერძნული მითის თანახმად, ელიდის მეფეს ავგიასს უამრავი ჯოგი ჰყავდა და უზარმაზარი თავლები ჰქონდა. ავგიას თავლა ოცდაათი წლის განმავლობაში არ გასუფთავებულა და იქ იმდენი ნეხვი დაგროვდა, რომ მისი გაწმენდა მხოლოდ მითიურმა ჰერაკლემ (რომაელების ჰერკულესმა) შესძლო და სხვამ ვერავინ. ამისათვის ჰერაკლემ არხი გათხარა და ორი მდინარე — ალფეი და პენეი მიუშვა თავლაში.

**ჩვენი შენიშვნა-პარალელი:**

იოსებ სტალინი ნაშრომში — „ლენინიზმის საკითხები" — შეფასებას აძლევდა რა მეორე ინტერნაციონალის საქმიანობას, აღნიშნავდა: „მეორე ინტერნაციონალის ავგიას თავლის გენერალური შემოწმება და გენერალური წმენდის ეს საპატიო საქმე წილად ხვდა ლენინიზმს".

ლენინურ-სტალინური წმენდის არსი გასაგებია.

რაც შეეხება იმპერიას, მას დღეს ნამდვილად არა ყავს ჰერაკლე ანუ ჰერკულესი და ამაოდ ცდილობენ „პერესტროიკის" ბლაგვპირა ნიჩბით არხის გათხრას — მდინარე მოსკოვი ქვეყნის კი არა მარტოოდენ კრემლის გამოსაგავადაც არ ეყოფათ.

## დავეწიოთ და გავუსწროთ!

ეს „ფრთიანი" გამონათქვამი ეკუთვნის ვლადიმერ ლენინს. იგი მოუწოდებდა „წითელ" რუსეთს: „ან დაიღუპე, ან დაეწიე მოწინავე ქვეყნებს და გაუსწარი მათ აგრეთვე ეკონომიურადაც".

ამ სტრიქონების დაწერიდან მრავალი ათეული წლის შემდეგ უშედეგო და ამით სირბილით ქანცგაწყვეტილ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამ მაღალი ტრიბუნიდან გამოსძახა: „მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე დამყარებით, დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ".

„დავეწიოთ და გავუსწროთ" ძილშიაც აბოდებდა „დიდ ლენინელს" ნიკიტა ხრუშჩოვს. იგი შემთხვევას არ უშვებდა ეს ფრაზა არ წამოესროლა. მაგალითად, 1958 წელს მან ბულგარეთის კომპარტიის მეშვიდე ყრილობაზე ბულგარელ თანამოძმეებს გაანდო: „ჩვენი ამოცანაა — უახლოეს წლებში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ".

ალბათ იმ დროს თუ იხუმრა ენაკვიმატმა გლეხკაცმა: — დაწევის მომხრე ვარ, მაგრამ გასწრების არა.

რატომო, შეეკითხნენ და: — შარვალი გამოხეული გვაქვს და სირცხვილს ვნახავთო.

ხუმრობა იქით იყოს და, მოდით, ახლა სკკპ 27-ე ყრილობის ტრიბუნიდან ნათქვამსაც მოვუსმინოთ: „თუ ომამდე და პირველ ომისშემდგომ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის დონე ძნელად მისაღწევად გვეჩვენებოდა, უკვე 70-იან წლებში მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით არსებითად მივუახლოვდით მას, ხოლო ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მიხედვით გადავაჭარბეთ კიდეც".

ესეც ასე! აგაშენათ ღმერთმა, ამდენი დაოხილი სირბილის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ხომ ვეღირსეთ ნაწადელს?! ახლაც იტყვის ზოგიერთი ყიამყრალი, წინ მივდიოდით უკან-უკანო?! ჩვენ თურმე გვეჩვენებოდა, თორემ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ, როდის, 70-იან წლებში მივახლოვებივართ „ეკონომიკური პოტენციალის" თვალსაზრისით, ხოლო „ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მიხედვით" გაგვისწრია კიდეც!

გვდიოს ახლა ამერიკამ კუდში.

ისე, ზოგიერთ „უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების" სფეროში (ვთქვათ — ატომური ბომბების) პროგრესი თუ სურს, ამერიკას, ბატონო, ბუშმა უნდა იხელმძღვანელოს ლენინის ლოზუნგით და შტატების დროშას წააწეროს: „დავეწიოთ და გავუსწროთ სსრ კავშირს"!

ჯამბულ არქანია.

პოზიცია

# რას ვაკეთებთ საეროს?

საქართველოში ეროვნული ძალების ერთიანობის იდეა იდეად რჩება. რაკი საქართველოში ვერ ამტკიცებს თავის „სიმართლეს", ზოგი ევროპაში გარბის თავისი ყოფილი თანამებრძოლის დასაბეზღებლად; რაც აქ უთქმელი დარჩა, მერე იქ, მტრის ბანაკში, გაბადრული, ჩიქორთულით უყვება სახელდახელოდ თავშეყრილ ჟურნალისტებს. ამ გაწამაწიაში ეროვნული მოძრაობა ჰკარგავს თავის პირვანდელ შემართებით ხასიათს. ამას თან ერთვის რთული სოციალური პირობები. ჭირს მოსახლეობის მომარაგება საკვები პროდუქტებით. საზოგადოებისთვის ეს მომენტი გახდა უფრო მნიშვნელოვანი და ბევრმა თანამემამულეთა და მთელი ქვეყნის გასაჭირის ხარჯზე მოინდომა ჯიბის გასქელება. გარკვეული ძალები ამ მომენტს არსებული ხელისუფლების უუნარობის მაგალითად იყენებენ. არის საშიშროება, ეროვნული მოძრაობა მივიწყებულ იქნეს სოციალური ბრძოლის ხარჯზე, რაც თავის დროზე ერთხელ უკვე შესძლეს კომუნისტებმა და საოცარია, რომ ისინი დღესაც ქადაგებენ მარქსის იდეების უკვდავებაზე (ლენინს რატომღაც მოკრძალებით ივიწყებენ).

ეროვნული ბრძოლის საერთო შენელებასთან ერთად პროვინციაში ჩაკვდა ეროვნული ბრძოლის სული. და რაოდენ დასანანია, რომ ერთ დროს ეროვნული ბრძოლის ხმაურიანი წარმომადგენლებიც მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების მაცდურ გზას დაადგნენ, დაავიწყდათ რა სულ რაღაც სამიოდე წლის წინანდელი დაპირებები და კეისარივით მაღლა შემართული მარჯვენა.

მეტად სარფიანი აღმოჩნდა ეროვნული მოღვაწის სახელი. მათ, ვისაც წარსული კომპრომეტირებული აქვთ, ეროვნულ დროშას ჩაბღუჯეს ხელი. ხელის მოსაკიდებელი ადგილი არ დარჩა, თორემ მსურველი, მოგეცეთ ლხენა, უთვალავია. დავიჯეროთ იმ კაცის (და მისთანების) გულწრფელობა, რომელმაც ქალაქში თავის დროზე გამოფენილ პოლიტბიუროს რომელიღაც წევრის ცეცხლშენთებულ სურათს საკუთარი ძვირფასი პიჯაკით უწყო ჩაქრობა?! მაგრამ რა? ახლა ხომ არის ეროვნული იდეალების მედროშე! გასაკვირი სულაც არაა, რომ პროვინციაში ქუჩიდან აყვანილმა ხელისუფლებამ არათუ ეროვნული ბრძოლის სადავეები დაკარგა, არამედ მარტივ სოციალურ პრობლემებსაც ვერ გაართვა თავი. მოგეცით ლხენა, სასიამოვნო რამ იყოს ჩოხა-ახალუხში გამოკვართული ქართველების ხილვა, განსაკუთრებით მო[illegible]რებულ ზეიმებზე, მაგრამ აკეთებს კი ყველა შესატყვის საქმეს? — მე სიჩაუქეში: ყანწების დაცლასა და ჩუბინობაში შეჯიბრზე არ მოგახსენებთ.

საზოგადოების დიდი ნაწილის კუთხის კანონებისათვის აყოლაში გარკვეული ბრალი მთავრობის დაპირებათა ვერშესრულებლობაშიცაა. საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ-ჯერობით ბევრს ვერაფერს მივაღწიეთ, მხოლოდ გვპირდებიან და გვპირდებიან რაღაცას, გაურკვეველს, რასაც ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაჩქარება არ შეუძლია. ერთი სიტყვით, მარტონი ვართ, ცალფა იაქედ (ერთი კრიტიკოსის აზრის წინათ იმით იყო ბედნიერი, რომ კრიტიკოსთა წყვილი გათიშა და ერთთან, ცალფა იაქებთან, უწევდა პაექრობა — ჩვენებური ხასიათის დამაფიქრებელი სურათია).

არც ისე შორეულ წარსულში ყველა უბედურებას კრემლს, იმპერიას ვაბრალებდით, ახლა კი გამოჩნდა, რომ ბევრი რამ უბედურება ჩვენივე თავისგანაც გვჭირს. ეს პრობლემები ეროვნულ მოძრაობას როგორმე უნდა მოეგვარებინა და ეროვნული ბრძოლის ჟინიც არ ჩაქრებოდა. ახლა როგორ გინდა შენ საკუთარი ბუნების მოწყობით გართულ ქართველს სინდის-ნამუსზე ელაპარაკო, ხომ სასაცილოდ აგიგდო. თავის დროზე ასტაფიევმა „მშვენიერი" პასკვილი გვიძღვნა ქართველებს. ჩვენ ავხტით და დავხტით, როგორ თუ გინება გვაკადრესო. მტრული განწყობით რომ იყო ნათქვამი, იმიტომ შეიძლებოდა გვწყენოდა, თორემ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ზუსტი ასახვა იყო (სხვა საკითხავია, მწერალს შინ როგორ ჰქონდა საქმე), მით უმეტეს, დღევანდელობას ესადაგება იგი. მაგაზე ადრე თვითონ ქართველმა მწერალმა სთქვა: ქართველები მოულოდნელები ვართ, ჩვენგან ყველაფერია მოსალოდნელიო. და მართლაც უკვე აღარც არაფერი გვიკვირს.

ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ისე მოეშვა, ლამის ხელშემწყობიც (ზოგან თანამონაწილეც) გახდა კორუფციის, სპეკულაციის, ორგანიზებული დამნაშავეობის — იმ გველეშაპის, რომელიც დღეს უბრალო მოკვდავის კეთილდღეობას ნთქავს, დაბლა სწევს ცხოვრების საერთო დონეს, ავიწყებინებს ქართველს მის ნამდვილ მისიას — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში თავისი წილი გაიღოს. მაინც რა არის ეს სათითაოული წილი? — კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მინდობილი საქმისადმი, პატიოსანი შრომა — ადვილი საქმეა, მაგრამ ვინმე მიდის ამ გზით?

თუ ქართველი თავის მორალურ სახეს არ დაიბრუნებს, თუ მედროვეებისაგან არ გათავისუფლდება ეროვნული მოძრაობა და ეს ეროვნული მოძრაობა ნამდვილი შემართებით არ ჩაუდგება სათავეში საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუ თავისი რიგებიდან არ გარიყავს კრიმინალებს და ა. შ. და ამით რწმენადაკარგულ ადამიანებს რაღაცის იმედს არ გაუჩენს, პერსპექტივისკენ არ გაახედებს, რაც არ უნდა შარლ დე გოლი გვყავდეს, ვერ გავხდებით საფრანგეთი.

ნანა ესვაია.

## მივხედოთ გამოთავისუფლებულ ტექნიკას

ოქტომბრის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა აგროვადებში დაამთავრეს ერთწლიანი კულტურების თესვა. სამუშაოდან გამოთავისუფლებულ ტექნიკას მოსალოდნელი იყო სათანადო წესების დაცვით შეინახავდნენ ავტო-სატრაქტორო პარკში, მაგრამ ტექნიკა უმეთვალყურეოდაა მიტოვებული ბ. ხოჭოლავას სახლის წინ. გზაზე მოძრაობა ფერხდება, მანქანა-იარაღები მინდორში ფუჭდება, რაზედაც პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნის ინჟინერ-მექანიზატორი ა. ზაქარაია.

მივხედოთ მინდვრის სამუშაოებიდან გამოთავისუფლებულ ტექნიკას.

ა. შამუგია.

## იმრავლოს!

ცხრა თვეზე მეტია, რაც ბოჭორმის ქუჩისა და მისი შესახვევების 43 აბონენტს არა აქვს სატელეფონო კავშირი. 130 გრძივმეტრი კაბელის უქონლობის გამო. ჩვენი ეს წუხილი გულთან ახლოს მიიტანა კოტე სამუშიამ. მან საკუთარი სახსრებით შეძენილი კაბელით გამოცვალა გაყვანილობა. ეს მეტყველებს საქმისადმი მის კეთილსინდისიერ პასუხისმგებლურ დამოკიდებულებაზე.

იმრავლოს ასეთმა მუშაკებმა თავისუფლების გზას დამდგარ საქართველოში. სწორედ ასეთი ადამიანები გამოჭედენ ქვეყნის კეთილდღეობას.

ღულსატკენია, რომ თითქმის არ დარჩა სფერო, რომელიც არ მოეცვას ათასგვარ პრობლემათა ბურუსს. მით უმეტეს საგრძნობია სამედიცინო დაწესებულებებში არსებული ბუმი. გასაჭირი არც ჩვენი ქალაქის ჯანმრთელობის კერებს აკლიათ. უფრო მეტიც, ამას წინათ გავეცანი საქართველოს სოციუზრუნველყოფის და ჯანდაცვის სამმართველოდან გამოგზავნილ დოკუმენტს, რომელშიც წერია: „არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და სამეანო-გინეკოლოგიური დახმარების გაუმჯობესების მიზნით ვბრძანებ ქალაქ ზუგდიდში მივლინებულ იქნეს თბილისის № 5 სამშობიარო სახლის განყოფილების ხელმძღვანელი ბიძინა სიხარულიძე.“ შექმნილი სიტუაცია მეტად დამაფიქრებელია, ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე საუბარი ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის კურატორ ბატონ ბიძინა სიხარულიძესთან:

# გამოსავალი ერთნაირი პროფილის სტაციონარების კონცენტრირებაშია

—უპირველესად გვესაუბრეთ იმ პრობლემებზე, რამაც ჩამოგიყვანათ ქალაქში...

— საუბარი ამ თემაზე არც ისე ადვილია... დღეს ზუგდიდში 3 გინეკოლოგიური განყოფილება, 2 სამეანო განყოფილება და 2 ქალთა კონსულტაცია ფუნქციონირებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქალაქში ჭარბადაა ერთნაირი პროფილის მქონე რამდენიმე სტაციონარი. ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა მათი არათანაბარი უზრუნველყოფის პირობები, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირეზე, მდგომარეობას აუარესებს საშტატო ერთეულების სიმცირეც. მცირე სტაციონარების არსებობის შედეგად კადრების ნორმალური დაკომპლექტება შეუძლებელიცაა. ექიმები განიცდიან არანორმალურ დატვირთვას მორიგეობის მხრივაც. ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა ელემენტარული პრობლემა — სამორიგეოზე დაინიშნოს ორი ექიმი მაინც. ამის გამო ერთ ექიმს ნაცვლად გათვალისწინებული 2-3 მორიგეობისა უხდება 4-5 მორიგეობის გადაბმულად შესრულება, რაც ფაქტიურად პაციენტთა მომსახურების ეფექტურობას ადაბლებს.

ერთნაირი პროფილის მქონე სტაციონარების უაზრო გაბნევამ სხვა კუთხითაც წარმოიჩინა თავი. სახელმწიფოს არ შეუძლია დანადგარებითა და სხვა სამედიცინო საშუალებებით მოამარაგოს ისინი, რაც იწვევს კადრებისა და აპარატურის დაქსაქსვას.

— რამდენადაც გავიგე, პრობლემათა თავი და თავი კადრებისა და სტაციონარის დაქსაქსულობაა. ალბათ, ამ პროცესს ყველაზე მეტად მატერიალურ-ტექნიკური ბაზა „განიცდის“...

—სწორი ბრძანდებით. ეს რომ ასეა, ამის საჩვენებლად რაიონული საავადმყოფოს მაგალითიც კმარა. უვარგისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რასაც უნდა დაეყრდნოს განყოფილებების მუშაობა, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებების დონეს. არანაკლებ დამაფიქრებელია სტაციონარების დატვირთვის პრობლემაც. ხან რაიონულ საავადმყოფოში არსებული სტაციონარი იცდის, ხან ქალაქისა და კომბინატის სტაციონარები რჩება დაუტვირთავი. ამან სავალალო შედეგი მოგვცა: ერთნაირი პროფილის განყოფილებებში ადგილი აქვს ე. წ. საწოლების მოცდენას, მედიკამენტებისა და თანხების არასრულფასოვან განაწილებას. ყველაფერი კი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნიადაგზე ხდება...

— შექმნილი სიტუაცია ნათელია. როგორ მიგაჩნიათ, ეშველება კი ზემოთ თქმულს?

— პრობლემის ხელმოსმით გადაჭრა შეუძლებელია. ალბათ სასურველი იქნებოდა დაქსაქსული განყოფილებების გაერთიანება, კერძოდ, წამყვანი სპეციალისტების კონცენტრირება ერთ ადგილზე. მაშინ გაფანტული დანადგარების თავმოყრაც მოგვარდება და ჩამოყალიბდება სრულყოფილი სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილება ნორმალური კადრებითა და შესაფერისი აპარატურით.

გარდა ამისა, ამჟამად ქალაქს ბევრი აუცილებელი განყოფილება აკლია, რაც კონცენტრირების შედეგად აუცილებლად შეიქმნებოდა. კერძოდ, ახალშობილთა რეანიმაციული განყოფილება, დღენაკლულთა განყოფილება, ამჟამად, ახალშობილები რეანიმაციული დახმარებისთვის სასწრაფოდ გადაჰყავთ ქუთაისში. ბუნებრივია, ტრანსპორტირება ასეთ შორ მანძილზე ახალშობილის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს და იზრდება სიკვდილიანობა.

— და მაინც, როგორც კურატორმა, გთხოვთ დააკონკრეტოთ...

—მდგომარეობის გამოსასწორებლად ლოგიკურად გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ერთნაირი პროფილის განყოფილებების გამონთავისუფლების ხარჯზე შეიქმნას ცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც თუნდაც დედათა და ბავშვთა მომსახურების ცენტრს შევარქმევდით. ვფიქრობ, ამის განხორციელება არც ისე უსაფუძვლოა უკვე გაერთიანებული სოციუზრუნველყოფისა და ჯანდაცვის სამმართველოს ცენტრალიზებულ ბაზაზე.

— იმედია განახორციელებთ...

— მომავალი გვიჩვენებს...

**ესაუბრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი,**
**რუსიკო მიქ[illegible]ია.**

გამოსათხოვარი

## ნანული ჯიქია

ძნელია წერო შენზე წარსულში... წლევანდელ სექტემბერს პირველად შევხვდებით უშენოდ, ახლა თვალცრემლიანებმა უნდა მოვიგონოთ ის ლამაზი დღეები, ერთად რომ გაგვიტარებია.

ყველას სატკივარი გულთან მიგქონდა, მაშინაც კი, როცა მძიმე სენით იყავი შეპყრობილი. შენთვის მძიმე წუთებშიც არ გტოვებდა ჩვეული იუმორი, აქეთ გვამხნევებდი, იმედს გვინერგავდი რომ საოცრება მოხდებოდა — შენ ისევ ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდებოდი, სიცოცხლეს, რომელიც ასე გიყვარდა და გწყუროდა.

შენი ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სკოლასთან, იყავი სანიმუშო მასწავლებელი, საქმის ერთგული, უღალატო, უალრესად პატიოსანი, გამოირჩეოდი მაღალი ადამიანური თვისებებითა და კეთილშობილებით.

მიდიხარ ჩვენგან და გვიტოვებ დიდ სევდას და გულისტკივილს, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებთ, რომ მუდამ იცოცხლებს შენი სახება — შენი კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

**№ 4 საშუალო სკოლის პედკოლექტივი.**

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ცხოვნდია.**

ამ დღეებში რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში მიმიყვანეს. სასწრაფო ჩვენებით ოპერატორმა ბიძინა სიხარულიძემ გამიკეთა საკეისრო კვეთა. უმძიმესი იყო აგრეთვე ჩემი პატარას მდგომარეობაც. ექიმების სლავა ქუხილავას, ახალშობილთა განყოფილების გამგის მაია ფიფიას ექთნების ელისო რაზმაძის, ნანული ჩორაპიძის მზრუნველობით პატარა გადარჩა. დღეს ორივენი თავს კარგად ვგრძნობთ. მადლობა გულისხმიერ ადამიანებს.

**ლეილა ჯანჯღავა-ჯახია.**

---

შვილები: ნელი, ქუქა გურამი, და ვალენტინა, ძმა მიშა, რძლები: ციალა გეგელია, თამარა, ბაბუცა, სიძეები: ჯანიკო ჩაკვეტაძე, ვაჟა გეთია, ზურაბი გაბრავა, ქვისლი ვარლამ ჯიქია, შვილიშვილები: მარინა, მაია, ჭაბუკა გეთიები, ბაქარი, ბაკური, ელდარი ჩაკვეტაძეები, გურანდა, მირანდა, ცირა თორნიკე ნარმანიები. შვილთაშვილიშვილები ვალერიკა, სალომე გაბრავები. ძმისშვილები: იანური, ომარი, თამაზი, თენგიზი, დემური ნატო, ეკა. დისშვილები მურთაზი, ბადრი კოპალიანები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან.

**თომა სოკრატის ძე ნარმანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21 აგვისტოს, გამოსვენება 22 აგვისტოს 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, გამარჯვების 107-დან. დაკრძალვა სოფ. კოკში.

---

მეუღლე მავრა, შვილი ბადრი, რძალი ლეილა ლომაძე. შვილიშვილები მაკა, ირაკლი დანელიები, დები თინა, თამარ ბირჩენკოები, დისშვილები ჯინო, მიმოზა სორდიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**აპოლონ (ბურდა) გუსარის ძე დანელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 აგვისტოს, დაკრძალვა 24 აგვისტოს ახალკახათში. 18 საათზე.

---

მეუღლე საშა, და პისტი, ძმა ბადა და ილია, დისშვილი გია, ბარაბაძე, ძმისშვილები, აზა, პალადი, ბოჩო კაკულიები, ბიძაშვილები: ფაქიზო, ვალოშა თამარა, ვაჟა კაკულიები, ანტისა, ბუცა, ძაბული, ალიოშა, კრილენკო, გენადი, გრიშა კუტალიები. ცოლისძმა მეთოდი ჯიქია, ცოლისდები: თალიკო, ჰაპალა, ციალა, ქრავაშა, და ნაირა ჯიქიები, ქვისლები: მოკოდია ქორთუა, ნიკიფო წურწუმია, გურამი თოდუა, რივერკო ქეცბაია, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისძმისშვილები, ცოლისდისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**სილოვანი ლავრენტის ძე კაკულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 აგვისტოს, დაკრძალვა 25 აგვისტოს, სოფ. აბასთუმანში.

---

№ 4 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის

**ნანული ვალერიანეს ასულ ჯიქიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გრიგოლი, სვეტა, აზა, ეთერი ლევანი, მაია და ლათო აბულაძეები ოჯახით იუწყებიან

**ნანული ვლადიმერის ასულ ჯიქიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე შურა, შვილები ჯიმშერი, ჯემალი, ზაური, ზაირა. შვილიშვილები: გიზო, ინგა, ირმა, ნანა, ზვიადი, ჯანო, ჯინა. რძლები: ინეზა, მანანა, ლუბა, ბაბუცა, სიძე. როლანდი შამუგია, ძმისშვილები გული, ნუნუ, ნუგზარი, რამაზი, ნაირი, გიგლა, ლუარა, მზია, ნაზო, სოსო. ცოლისძმა არველოდი. ცოლისდები: ქუჩუჩია, ნელი. მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან.

**ჯოტო სტეფანეს ძე ჯიჭონაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 აგვისტოს დაკრძალვა 25 აგვისტოს, ოდიში (კალინინი).

---

მეუღლე როზა, შვილები: კარლო, ბადრი, ზაური, ნანა, რძლები: ნატო, ნონა, ეკა, ძმები: ტარიელი, ვასო, დები: ზანიკო, მადონა, შვილიშვილები: ლაშა, თამუნა, სოფიკო, სალომე, ნანა, დაზმერი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნოდარი პეტრეს ძე ჯანაშიას**

გარდაცვალებას პანაშვიდი 22, 23, 24 აგვისტოს, დაკრძალვა 25 აგვისტოს სოფ. რუხში, გამოსვენება ნატანების 25.

---

ძმები: ანტიპა, რადიონი, ვალერი, რაფავები ოჯახებით იუწყებიან

**იადონი რაფავა-ქირიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22 აგვისტოს, სოხუმში, რკინიგზის 72.

---

დები: თამარა, ვენერა ქირიები, სიძეები ერასტო აკობია, ყორყე ღარასელია ოჯახებით იუწყებიან

**ვალიკო ვლადიმერის ძე ქირიას**

გარდაცვალებას.

---

ქ. ზუგდიდის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს აზა ჯიქიას დის

**ნანული ვალოდიას ასულ ჯიქიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: მერაბი, ხუტა, მარინა, დები: ლეილა, ლიანა, დინარა, გულნარა, ძმა ოთარი, რძლები: ლია ლუკავა, ნუცა კოდუა, ეთერი კვარაცხელია, სიძეები ოთარი ბაბარაშვილი, ყორყე შონია, შალიკო ფიფია, ნოდარი არქანია, შვილიშვილები: მერაბი, ცირა ქორთუები, მული მავრა ქორთუა, მზახლები შალვა ლუკავა, კოლია, ლულუ ჯორბენაძეები, დავით ბაბარაშვილი, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან

**ნაზია სერაპიონის ასულ კვარაცხელია-ქორთუას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 21, 22, 23 აგვისტოს გამოსვენება 24 აგვისტოს 16 საათზე ქ. ზუგდიდი, ბარათაშვილის ქ. № 12. დაკრძალვა სოფელ ძველ აბასთუმანში.

---

მეუღლე ანეტა. შვილი ციცინო. სიძე გონერი პაპავა, შვილიშვილი ლევანი, დები: მარგო, ლიანა, ძმები: შოთა, გივი, რძლები: პაშუში ჭიჭინაძე, ნანული ფიფია. სიძეები: არდაშელი აბრალავა, შალვა გოგილავა. დეიდა ვერა ჭითანავა. ბიძა თეოფანე გოგია. დისშვილები: შალვა, ანზორი, მურთაზი, აზა, ბილა. ძმისშვილები: შაქრო, ვარლამი, ზაური იგორი, გული კახა და ახლო ნათესავები იუწყებიან

**არშაკი აკაკის ძე ფიფიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23 აგვისტოს, დაკრძალვა 24 აგვისტოს, გამოსვენება 18 საათზე ძერჟინსკის ქ. № 7.

---

მე-4 საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლეები და მშობლები იუწყებიან ამავე კლასის ხელმძღვანელის

**ნანული ვალერიანეს ასულ ჯიქიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ახლო მეზობლები იუწყებიან

**მურმან გედევანის ძე კერზაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე დინარა ყურაშვილი, შვილები: ტერეზა, მარიეტა, ძმა ემზარ ლაითაძე, დეიდა შურა, დეიდაშვილები: ია, აიდა, ნონა თევდორაძეები, სიმამრი გედევანი, ცოლისდა იზოლდა, ცოლისძმა ჯემალ ყურაშვილები, რძლები: მზიური შანავა, აზა მამთორია ქვისლი ოთარ კონჯარია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ხუტა იასონის ძე დგებუაძე**

დაკრძალვა 22 აგვისტოს ქ. ფოთში გამოსვენება ზუგდიდის ქუჩა № 9.

---

დედა ოლია, მეუღლე ნუნუ, შვილები: მარინა, ინგა, ეკა, ჯონი, ლომგულ როგავები ირმა, სვეტა წურწუმიები. რძლები: ლიზიკო, ვალენტინა, დალი, სიძეები: ჯასიკო ზედელაშვილი, მურთაზ ყალიჩავა, ბადრი გვასალია, გია გულუა, შვილიშვილები: რუსუდანი, ოლია, თეონა. ძმისშვილები: ზაირა, მადონა, ციცინო, ელისო მაცი, ბიძაშვილები: კარლო, რეზო, ტარიელი როგავები. სიდედრი ბუცა, სიმამრი შალიკო ლატარია, ცოლისდები ნათელა, ნელი, ლეილა. ცოლისძმა ალიოშა ლატარია. ქვისლები: კოტე აბშილავა, ვაჟა იზორია, ზუხუტი ხასია. დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გურიელ პლატონის ძე როგავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 21, 22, 23 აგვისტოს, დაკრძალვა 24 აგვისტოს. სოფ. კოლხიდაში.

---

და თინა, სიძე ილუშა დარასელია შვილები: ქეთო, ნუნუ, ნანი, სიძეები: თამაზი ხუფაცარია, რევაზი ჯინჯოლია. შვილიშვილები: პაატა, თეა ხუფაცარიები, რუსუდანი, სალომე ჯინჯოლიები იუწყებიან

**თამარა თედოს ასულ ბაგათელია-ხოფერიას**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 24 აგვისტოს, გამოსვენება სენაკი, გაგარინის ქ. № 4-დან.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერ[illegible] 2 25 12, რადიორედაქციის 2 47 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, ტ 23 07, ტირაჟი 6000 შეკ. № 3383.